# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №127

ქ. მცხეთა

13 სექტემბერი 2012 წელი

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 01 აგვისტოს №1533 განკარგულების თანახმად, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი აბაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ინდ/მეწარმე ვასილ რუბაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 სოფ. წილკნის საბავშვო ბაღის სასმელი წყლით მომარაგების, სანტექნიკური ნაწილების და გარე ტუალეტის რეაბილიტაცია. (CPV 45200000)

## 2. სამუშაოს შესრულების ვადა და ღირებულება

2.1 სამუშაოს შესრულების ვადაა 2012 წლის 20 ოქტომბრამდე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან;
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 9 783 (ცხრაათას შვიდას ოთხმოცდასამი) ლარი;

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
3.2 წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი თანხის (ავანსის) შესაბამისი საბანკო გარანტია. მოთხოვნილი ავანსის თანხა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების თანხის 20 %-ს.
3.3 გარანტიის მოქმედების ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას უნდა აღემატებოდეს მინიმუმ 30 დღით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 შეასრულოს სამუშაო ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.1.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას.
4.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მიმწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 სამუშაოს შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მიმწოდებელს" არ აუნაზღაუროს სამუშაოს ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი სამუშაოს ღირებულების 1.0%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ილია ოდიშელიძე და წილკნის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ი. აბრამიშვილი.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებაზე, თუ ეს შეუსრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 12. მხარეთა რეკვიზიტები

„მიმწოდებელი"

ი/მ „ვასილ რუბაშვილი"
ს/კ 31001001237
ბანკი: „საქართველოს ბანკი "-ს
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **BAGAGE22**
ა/ა **GE10BG0000000389194700**
მის: მცხეთა, სოფ. ძალისი

ინდ/მეწარმე

ვ. რუბაშვილი

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 236094196
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი: **LBRTGE22**
ა/ა **GE93LB0120130269077000**
მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის №73

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

გ. აბაშვილი